# სახალხო გაზეთი

№ 469 ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 469

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხადაოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჭრო სახლის ლ. და კ. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11,ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში, ყველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ხახაბის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაილის ხიდთან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



თომა აბრამის ძე მთავრიშვილი შვილებითურთ, მღვდელი ალექსი, დიმიტრი და ივანე ეპიტაშვილები, ხადამე ნედოუბოვის მეუღლე, მარიამ მაღლოდინაშვილისა და ხოფიო ეპიტაშვილის ასული, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას—პირველის საყვარლის მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი ძვირფასის დის

### ნინო პეტრეს ასულის მთავრიშვილისას.

პანაშვიდი იქნება შვიდს დეკემბერს შუადღის ორ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო გასვენება აქედან ქ. ქუთაისს ამავე დღეს პანაშვიდის შემდეგ. წირვა და პანაშვიდი იქნება საფიჩხიის ეკლესიაში 9 დეკემბერს, ხოლო დაკრძალვა ხსენებულ ეკლესიის სასაფლაოზე. (1—969—1)

თ-დი ალექსანდრე ივანეს ძე და მეუღლე მისი სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილები შვილებითურთ გულითადს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პირადად, წერილით, ან დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადა მათის დაუვიწყარის შვილისა და ძმის

### დავით ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო, ვინც პანაშვიდს და დასაფლავებაზე პირადის დასწრებით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას, მეტადრე პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას და ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს, რომელმაც ცხედარს პეტერბურგიდან სამშობლომდე თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი გამოაყოლა. (1—971—1)

### 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

### „ნაკადულზე“,

რომელიც გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით. ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს:

დასურათებული 120 ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. ნახევრი წლით—3 მ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მ., მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ., № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან და თ. მთავრიშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

(3—1627—1) გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

### საბურთალოზე
მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ვიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან, მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—190

### დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
### წამლობა ჭლექისა
ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულიოზი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—50)

### ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვერცხლის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირმღთვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^{1}/_{2}$—11 ს.

დეკანოზიშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ საათ.,

მჭედლიშვილი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—$1^{1}/_{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭავარიანი შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.

ორჯონიკიძე ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირცხალავა რ. ს. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოშტარია გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუნდაძე ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ვ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი გ. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ბიძათა შემოწმება და სხვა შეღავათით. საფასურით. (წ.—1089—624)

### ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 8 დეკემბერს,
ვლ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ცნობილი პიესა

### ლევან სამეგრელოს მთავარი,
დრამა 5 მოქ. ყიფიანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღ. 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: მზადდება იულიოს კეისარი, მარიუჩა, ჩერრეტი და სხვა.

რეჟის. ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (2.970.1.)

### ახალი კლუბი
ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აცხადებს, რომ ამ 1911 წლის დეკემბრის 8-ს დანიშნულია საზოგადო კრება კლუბის წევრთა ასარჩევად კენჭის ყრით კლუბის წევრებისა და სამუდამო სტუმრებისა.

დასაწყისი საღ. 8 საათზე (1—1608—1)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარდამ ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

გ. ს. გამყრელიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 საათ.—10 ს.

ა. ნ. ჯანაშვილი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ს. ა. მოჩხუბელი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$.

შ. ა. მაჭავარიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით. (წ—1090—228)

### ექიმი ს. დიდიძის
მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს

ექიმი გ. ლორთქიფანიძე

ყოველ-დღე საღამოთი 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფატიდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—14)

### ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერ, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—71)

### ექიმი მ. ს. კობერიძე
### ქ. გორში
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—12 საათამდე და საღამოთი—5—7 ს-მდე. სემინარიის ქუჩაზე, სახლი № 1, ხანგურიძისა. (25—968—3)

### ექიმი ნ. ტ. მელიქიშვილი
ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—40)

### ექიმი ზ. ნ. მამაკაიანი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.). და 5—7 ს. (სხვათ.). მიხეილის პროსპექტ. N 26. ტელეფონი 344. 25—1442—88

### დოქტორი მედიცინისა
### ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სნეულების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—58)

### ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს., საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი გაბაშვილისა

### ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—6 საათ. საათამდის

### ექიმი მ. მაჩაბელი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (9—50)

### ექიმი მ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

### ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდრეს ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.29)

### ექიმი მ. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

მლისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—54)

### ექიმი ქალისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12. სახლი მდივნისა.

### ექიმი ქალისა ნინო რუხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის მესამ. N 5.


## ტფილისი, 7 დეკემბერი

**სამარცხვინო დამარცხება.** საქალაქო არჩევნები თითქმის დასრულდა, ხმოსანთა უმრავლესობა არჩეულია. დარჩა ასარჩევი რამდენიმე ხმოსანი ზოგიერთ საარჩევნო უბანში, მაგრამ წარსულმა არჩევნებმა მაინც ნათლად დაგვანახვა, რომ ქართველ რუსთა ბლოკი დამარცხდა ყველგან, გარდა პირველ საარჩევნო უბნისა. შევაფასოთ ეს გამარჯვება საზოგადოებრივ ღირებულების თვალსაზრისით, მოიგონეთ, მკითხველო, რა აურ-ზაური იყო ატეხილი საქალაქო არჩევნების გამო. ეს აურ-ზაური გარეგნულად ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ქართველობა ტფილისში მართლაც გამოფხიზლდა და მოისურვა ქალაქის საქმეებში შეგნებულად ჩარევა. ასეთი სურვილის ასრულება არც შეუძლებელი იყო და არც დასაძრახისი. მაგრამ საჭირო იყო მოფიქრებული მოქმედება და განსაკუთრებით კი გულ წრფელობა, რაც ქართველ ამომრჩეველთა ბევრს ხელმძღვანელს არ ესმოდა. დავანებოთ თავი პრინციპიალურ მსჯელობას. ამის შესახებ იმდენი რამ დაიწერა ჩვენს გაზეთში, რომ, მგონია, მკითხველს უკვე საკმაოდ ნათლად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, თუ რა პრინციპიალურს ნიადაგზე ვიდექით ჩვენ, როდესაც რუს მემარჯვენე ელემენტებთან ბლოკის წინააღმდეგნი ვიყავით.

დავაფასოთ არჩევნების შედეგი პრაქტიკულის თვალსაზრისით. ჩვენი მოწინააღმდეგენი, კრებებზე თუ პრესაში, გვეუბნებოდნენ, შეერთება რუს და სომეხ მემარჯვენეებთან იმიტომ არის საჭირო, რომ ეს შეერთება ჩვენს ძალას გააძლიერებსო, ძალიან საეჭვო პოზიცია იყო. მცხოვრებლები თავიდანვე განსაზღვრულ საარჩევნო ჯგუფებად დარაზმდნენ. საარჩევნო ჯგუფებს შემუშავებული ჰქონდათ განსაზღვრული პროგრამა და შეკავშირებული ჰყავდათ განსაზღვრული კონტიგენტი ამომრჩევლებისა.

ამისთანა პირობებში ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფს ორი გზა და დარჩა: ან უნდა არსებულ საარჩევნო ჯგუფებთან შეკავშირებულიყო და ან კიდევ ცალკე, სრულიად დამოუკიდებლად გამოსულიყო საარჩევნო ასპარეზზე. ჯგუფმა, ბეც ხელ-მძღვანელთა წყალობით, ერთი გზაც დაჰგმო და მეორეც. მან გადასწყვიტა ბლოკით შეჰკვროდა არა საარჩევნო ჯგუფებს, არამედ მცხოვრებლებს. რანაირ სარგებლობას მოუტანდა ასეთი შეერთება? სრულიად არავითარს. ყველა საარჩევნო უბნებში საარჩევნო ჯგუფები მოქმედებდნენ. ყველას, ასე ვთქვათ, ერთმანეთში განაწილებული ჰყავდათ მცხოვრებლები. ვის ეკრობდნენ ბლოკით ქართველი ამომრჩევლები? ფიქციას, არ არსებულ ამომრჩეველს, ვინაიდან ამომრჩევლები ეკუთვნოდნენ ამა თუ იმ საარჩევნო ჯგუფს, რომელთანაც ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფს პირობ ბლოკის შეკვრა არ მოისურვა, დიახ, არ მოისურვა. ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს წევრებს რომ გულ-წრფელად ემოქმედათ და პირადს ინტერესებით არა ყოფილიყვნენ გატაცებულნი, საარჩევნო ჯგუფებთან შეთანხმება მოხერხდებოდა.

თავის მოუფიქრებელ ტაქტიკის წყალობით, ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფმა ყველა უბნებში დაჰკარგა ძალა. შერჩა მხოლოდ პირველი საარჩევნო უბანი. აქ მომქმედ ჯგუფებს ნაკლებად ჰქონდათ ძალა ამ შემთხვევით ისარგებლეს ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს წევრებმა, პირველ უბნის ინტერესებს შესწირეს ყველა უბნის ინტერესი და იმნაირი ტაქტიკა აირჩიეს, რომელიც უზრუნველჰყოფდა მათ პირველ უბანში, მაგრამ სრულიად უკარგავდა ძალას სხვებში. შედეგი: ქართველები ყველგან დამარცხდნენ, გარდა პირველ საარჩევნო უბნისა. ყველა უბანში თითო სასურველი კანდიდატი მაინც იყო დასახელებული. ყველა ისინი გარეთ დარჩნენ და ხმოსნის სავარძელზე წამოსკუპდნენ გოთუა და სულხანიშვილი.

ვიკითხოთ ეხლა რა ფასი აქვს ამ გამარჯვებას? განა აუარებელი ენერგია იმიტომ დაიხარჯა, რომ ქართველ მცხოვრებთა წარმომადგენლებად და მის ინტერესების დამცველად საბჭოში გოთუა და სულხანიშვილი ისხდნენ? განა ამას მოითხოვდა ინტერესები ქართველ ამომრჩევლებისა? თქვენი კი რა მოგახსენოთ, მკითხველო, და ჩვენ ვწითლდებით სირცხვილით, როდესაც გაგვახსენდება, რომ ტფილისის ქართველმა საზოგადოებამ უკეთესი ხმოსანი ვერ მისცა ქალაქს. ვწითლდებით, როდესაც გვაგონდება გულ-უბრყვილო მსჯელობა ზოგიერთის, ქართველ ამომრჩევლისა, რომელსაც ანგარიში ვერ გაეწია ყველა იმისთვის, რაც მის გარშემო ჰხდებოდა და გულ-უბრყვილოდ მისდევდა იმათ, ვინც ქართველი ამომრჩევლები ამ სამარცხვინო დამარცხებამდე მიიყვანა.

მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია. ამის შემდეგ მაინც დაინახავენ ქართველი ამომრჩევლები, რომ ჭუჭყიანი საშუალებით კარგი საქმის გაკეთება არ შეიძლება.

## სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები.**

**თ-დი გოლიცინსკი თავმჯდომარეობს.** განაგრძობენ პოლონეთის სამეფოს ქალაქების მმართველობის შეცვლის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. 33 მუხლი, ვიდრე 42 თითქმის უკამათოდ მიიღეს.

კამათი გამოიწვია 43 მუხლმა, მთავრობა მოითხოვს: ყოველმა ამომრჩეველმა თავისივე წრეში (კურიაში) უნდა აირჩიოს ორი ხმოსანი. კომისია კი ამის წინააღმდეგია.

კომისიის აზრის წინააღმდეგი იყვნენ ადგილობრივ მეურნეობის მთავარ გამგეობის უფროსი, ტიმაშევი და ბენიგსენი.

კომისიის რედაქციას იცავს შჩეპკინი, ბობრინსკი და გრიბსკი.

43 მუხლი მთავრობის რედაქციით მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს 44 ვიდრე 53 მუხლამდე.

54 მუხლში გეგეჩკორს შეაქვს შესწორება, რითაც მართლმადიდებელთა მღვდლებს ნება მიეცემათ საბჭოში მონაწილეობისა, თუ საეპარქიო საბჭო საჭიროდ სცნობს დანიშნოს იგი ამ თანამდებობაზე.

შესწორება მიიღეს.

ამ მუხლში შესწორება შეიტანა აგრეთვე პოლონელთა კოლომ, რითაც 5000 მცხოვრებიან ქალაქს შეუძლიან 20 ხმოსანი აირჩიოს. შემდეგ მუხლთა უმეტესობა თითქმის შეუსწორებლივ მიიღეს.

105 მუხლში შჩეპკინს კადეტების სახელით შეაქვს შესწორება, რითაც ქალაქის საბჭოს უფლება ეniჭება თვითმართველობაზე დამოუკიდებლივ დანიშნოს სასურველი პირი კომისიათა თავმჯდომარედ. კადეტების მეორე შესწორება შეეხება თავმჯდომარის უფლებას, რათა გადამწყვეტი ხმა ჰქონდეს თვითმართველობის ზოგიერთ გამგეობაში. პირველი შესწორება უარჰყვეს, მეორე—მიიღეს.

188 მუხლი ამბობს: არაჩვეულებრივ შემთხვევის დროს, მეფის ნებართვით, მთავრობას უფლება ენიჭება თავისი კაცი დანიშნოს ქალაქის საქმეების გამგედ, არა უმეტეს ორის წლის ვადისა. ოქტომბრისტები, კადეტები და „შრომის ჯგუფელნი“ ამ მუხლის გამოტოვებას მოითხოვენ.

ადგილობრივ მეურნეობის მთავარ გამგეობის უფროსი. მთავრობას არ ძალუძს ამ მუხლის გამოტოვება, სახელმწიფო საბჭოში ძლიერად დაიცავს, და შეიძლება რეფორმა 1911 წელს ვერ შემოვიღოთ.

შჩეპკინი. თუ მუხლი არა ჩვეულებრივ გარემოებად ომსა, ან ხალხის რაიმე უბედურებასა სთვლის, მაშინ მაგის თაობაზე აქ კი არ უნდა

იყოს ლაპარაკი, არამედ სხვა კანონებში უნდა მოექცეს.

ბენიგსენი ოქტომბრისტების სახელით აცხადებს, ამ მუხლის ადგილი აქ არ არისო.

სინადინო (მომხსენებელი) მომხრეა მუხლისა, განაპირა ქვეყნებში მთავრობას საკმაო ძალა უნდა ჰქონდესო. ოპოზიციის და ოქტობრისტების 120 ხმის უმეტესობით, 188 მუხლი გამოტოვებულ იქმნა. ამ მუხლის უარყოფას მოჰყვა შემდეგის ოთხის მუხლის გამოტოვება. თვით პროექტი მიიღეს ალექსეევის შესწორებით, რაც შეეხებოდა ვარშავის უნივერსიტეტის უფლებას და მის წარმომადგენლის საბჭოს სხდომაში მონაწილეობას, როცა საქმე უნივერსიტეტს ეხება.

მიიღეს აგრეთვე ტიზინინის ფორმულა, რითაც მთავრობას დაავალეს, შემოიტანოს კანონ-პროექტი დასავლეთ გუბერნიების მიმართ 1892 წლის საქალაქო დებულების ადგილობრივ მკვიდრთა ზნე-ჩვეულებათა შეფარდებისა.

ამას ტიმოშკინმა დაუმატა, ამისთანა ცვლილება ამიერ კავკასიაშიაც მოხდესო.

ხვოსტოვი წინადადების უარყოფა მოითხოვა და უარჰყვეს კიდეც.

პროექტის განხილვა გაათავეს.

სათათბირომ მესამედ შეუდგა ფინლანდიელთა მიერ სამხედრო ბეგრის მაგივრად ფულის გადახდის კანონ-პროექტის განხილვას.

მეიენდორფი. ფინლიანდია თავის ხარჯით სცხოვრობს, ხაზინა მისთვის არაფერსა ხარჯავსო. კანონ-პროექტს სამართლიანს ვერ ვუწოდებთო.

კანონ-პროექტი მიიღეს დიდის უმრავლესობით.

მესამედ განსახილველია ფინლანდიაში რუსის ქვეშევრდომთა გათანასწორების პროექტი.

მეიენდორფს შეაქვს შესწორება, რითაც მოითხოვს ფინლანდიის სეიმის წესდებას ნუ შეეხება პროექტი, ვინაიდან რუსეთს არ შეჰფერის ისეთი კანონი გამოსცეს, რაც ფიცისა და მოვალეობის ასრულებისთვის კაცის დასჯას მოითხოვსო.

შუბინსკი აღნიშნავს, მეინდორფს რომ დავუჯეროთ, ერთ კანონსაც ველარ გამოვცემთო.

მაკლაკოვი თანახმაა რუსების გათანასწორებისა, მაგრამ მისი განხორციელების ფორმა არ მოსწონს. სათათბირომ მეინდორფის წინადადება უარჰყო და პროექტი მიიღო 135 ხმით 84 წინააღმდეგ. შემდეგ მიიღეს ტიჩინინის წინადადება, ფინლანდიის ყველა სასწავლებელში რუსული ენის სწავლების ვალდებულებისა.

ორენბურგისა და ურალის კაზაკთათვის გადასწყვიტეს გადასცონ 7.280,583 მანეთი, რადგან მოუსავლობამ ძალიან დააზარალა თურმე.

სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს შეკითხვა, სადაც მოყვანილია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრის კაზაკოვის განცხადება, სადაც იგი, სხვათა შორის, სათათბიროს ორ წევრს კარავაევის მოკვლის მოწყობას აბრალებს.

იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტის დირექტორი განმარტებას იძლევა. კარავაევის მოკვლის საქმის თაობაზე ხუთმა კაცმა ილაპარაკა, რომელთაც ზოგიერთნი მონაწილენი დაასახელეს, მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა მათი ჩვენების სიყალბე. ყველა ამან აიძულა ეკატერინოსლავის სასამართლოს საქმის წარმოება მოესპოო.

პურიშკევიჩ მე-2 აღნიშნავს, დიდი ხანია ხმა დავარდა, სათათბიროს წევრის კარავაევის მოკვლის საპოლიტიკო ხასიათი აქვსო და „რუსის ხალხის კავშირის" საქმეაო. აქამდე სასამართლოს არა ჰქონდა მასალა ვისიმე სამართალში მისაცემად, ეხლა კი არის. დამცველ პოლიციის აგენტი და „რუსის ხალხის კავშირის" წევრი კაზაკოვი ოპოზიციის წარმომადგენლებთან მოვიდა და მკვლელობის ნამდვილი სურათი დაგვიხატა. ესევე განუცხადა სასამართლოსა. პოკროვსკი ოქტომბრისტებს მიუბრუნდა და სთქვა „რუსის ხალხის კავშირის" საქმეების პასუხისმგებლობას ნუ იკისრებთ, შეკითხვის საჩქაროდ განხილვის საჭიროება აღიარეთ (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

ობრაზცოვს შეკითხვა ყურადღების ღირსად არ მიაჩნია და ზღაპარს უწოდებს.

მარკოვი მე-2 ჰფიქრობს, შეკითხვა ძალიან საფრთხილოა და შეიძლება გვატყუებენ კიდეც არც კი არსებობს ვინმე კაზაკოვიაო. ყველამ ვიცით, რომ კარავაევი თავისმა მეგობრებმა მოჰკლეს, რევოლუციის საქმეს რატომ არ ემსახურებიო.

გეგეჭკორი საჩქაროდ განხილვის მომხრეა და სათათბიროს უჩვენებს კაზაკოვის სურათს, პოლიციის მიერ შემოწმებულს იმის დასამტკიცებლად, კაზაკოვი გამოგონილი პირი არ არისო. შეკითხვა აშენებულია შეურყეველ დოკუმენტებზე და სათათბიროს ზოგიერთ წევრსაც ედება ბრალი. საჭიროა ყურადღებით მოვეკიდოთ შეკითხვასო, ამბობს დასასრულ გეგეჭკორი.

ანტონოვი წინააღმდეგია საჩქაროდ განხილვის საჭიროებისა. ჩვენ ისეც ბევრი საქმე გვაქვს და ძალიან მნიშვნელოვანი კანონების დადასტურება და შემუშავება გვჭირია და ამისათვის დრო აღარ დაგვრჩებაო.

საპირადოს გამო ლაპარაკობენ მილიუკოვი, ობრაზცოვი, შულგინი. გოლოლობოვი ამბობს, ყველას, ვინც შეკითხვას ხელი მოაწერა, ცილისწამებისათვის სამართალში მივცემო. შეკითხვის სწრაფად განხილვის საჭიროება აღიარეს თითქმის ერთხმად. შემდეგ შეკითხვა უარჰყვეს 112 ხმით 62 წინააღმდეგ.

განსახილველ საგანთა შორის არის შეკითხვა პერმის გუბერნატორის უსამართლო მოქმედების გამო, რაც სათათბიროს წევრის პეტროვ მესამისადმი მოქცევით გამოიხატა.

ოთხშაბათ დილის საიდუმლო სხდომა მოხდება სამხედრო ბეგრის წესდების შეცვლის თაობაზე.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

ნამესტნიკის საბჭოს კრება დღეს მოხდება. განსახილველი აქვს ოთხი საქმე.

საქალაქო არჩევნების შედეგი. ჯერ-ჯერობით არჩეულ იქმნა ქალაქის საბჭოს ხმოსნად 72 კაცი, ხოლო კანდიდატებად—13. 72 ხმოსნიდან 42 კაცს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული. ხმოსნები ეროვნების მხრით ასე განიყოფებიან: სომხები — 45, ქართველნი — 11, რუსები—14, ნემეცი—1 და მაჰმადიანი—1. კანდიდატებში სომეხი 6 კაცია, ქართველი—5 და რუსი—2. 72 ხმოსანში ახლად არჩეულია 39 კაცი, ხოლო 33 კაცი წინადაც იყო ხმოსნად.

ამომრჩეველთა საჩივარი. 3 დეკემბერს პირველ და მესამე საარჩევნო უბნის ამომრჩევლებმა გუბერნატორს საერთო საჩივარი მიართვეს, 27 ნოემბერს მომხდარი საქალაქო არჩევნები სწორე არ არის, რადგანაც არჩევნების დროს ზოგიერთი წესი დაირღვაო.

„დაშნაკცუთიუნის" პარტიის საქმის გამო. 17 დეკემბრისთვის ტფილისიდან პეტერბურგში, სხვათა შორის, დაბარებულნი არიან, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის გამგეობის წევრი ნ. პ. კოჩაევი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ს. თ. ჰრელაშვილი, ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი და სხვანი.

კავკასიის მფრინავთა ჯგუფის საბჭომ 4 დეკემბერს მოისმინა წერილი კავკასიის სამხედრო უწყების შტაბის უფროსისა, რომელიც წინადადებას აძლევს საბჭოს, გაერთიანებულ იქმნეს ეს ჯგუფი და კავკასიის მფრინავთა სამხედრო საზოგადოება, რომელიც ტფილისში არსდება. საბჭომ ეს წინადადება მოიწონა და დაადგინა, 10 დეკემბრისთვის ჯგუფის წევრთა საერთო კრება მოიწვიოს ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ხარწყალი არხი ქართლში. 5 დეკემბერს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი ხაშურს გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ მემამულეთა და გლეხთა წარმომადგენლების თათბირში, რომელიც ამხანაგობის დაარსებას აპირებს მტკვრიდან ქართლის მინდვრების მოსარწყველ არხის გასაყვანად. არხს სათავე ექნება მტკვარზე გადებულ ბორჯომის ხიდთან და სოფელ ქვიშხეთიდან ორ შტოდ წავა. ამ არხით დაახლოვებით შემდეგი სოფლები მოირწყვება: ტეძერი, ქვლი, ცხრა-მუხა, ხაშური, დოღლაური, აგარა, ქვენატკოცა, ახალ-სოფელი, ოსიაური, სატივე, ვაყა, მოხისი, შაქშაქეთი და სხვა.

ვაკეს გამშვენიერება. როგორც მკითხველებმა იციან, ვაკეს მცხოვრებლებმა 15,000 მ. ნ. უნდა შეიტანონ ქალაქის კასაში ვაკის ქუჩების მოსაკირწყლავად. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს წინადადება მისცა, შეეკითხოს ქალაქის საბჭოს, ისურვებს თუ არა ამ თავობით ხსენებულ ფულის გაღებას ქალაქის კასიდან იმ პირობით, რომ ვაკელებმა ეს ფული ქუჩების მოკირწყვლის შემდეგ გადაიხადონო. გუბერნატორი ქალაქის გამგეობას აგრეთვე წინადადებას აძლევს, მიიღოს ზომები ვაკეს წყალსადენის გასამართის ნივთიერ საშუალებათა გამოსაძებნად.

ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის უფროსად მოსკოვის სასულიერო აკადემიის კანდიდატი მღვდელი ტიხონ ლავროვი დაინიშნა.

სასულიერო უწყებაში. როგორც გვწერდით, საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება 9 დეკემბრისათვის იყო დანიშნული სასულიერო სემინარიის შენობაში, ამ ჟამად ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ ეგზარხოსისაგან დეპეშით განკარგულება მიიღო, რომლის თანახმადაც კრება 17 დეკემბერს უნდა დაიწყოს.

50 წლის სამსახურისთვის ... გადამწერის მეთხე ხარისხის ... ნით დაჯილდოვებულ იქმნენ სამსახურს გარეშე მყოფი მღვდლები: ჭიათურის მთავარ ანგელოზის ეკლესიისა (გურია-სამეგრელოს ეპარქია)—მაქსიმე ქავთარაძე და კვდის წმ. გიორგისა (იმერეთის ეპარქია)—დუკა აგალიანი.

## საზოგადოებანი და კრებები

საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა საერთო კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება ნამესტნიკის კანცელარიაში. კრება საზოგადოების წევრთა მოხსენებებს მოისმენს.

სამკურნალო საზოგადოების კრება დღეისთვის არის დანიშნული. კრება მოისმენს გ. ნ. ტერ-ნერსესოვისა, ა. ს. კლებანსკისა და ა. ა. მუხარინსკის მოხსენებებს სამკურნალო საკითხების შესახებ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ოლქის წარმომადგენელთა კრება 9 დეკემბრისთვის არის დანიშნული ტფ. სასულიერო სასწავლებლის შენობაში.

## სასწავლებლებში.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას, რათა განჯაში სამასწავლებლო სემინარია დაარსდეს. განზრახულ სასწავლებლის დასაარსებლად ოლქის მზრუნველს 15,000 მან. გამოუგზავნა ბაქოს რეალურ სასწავლებლის საპატიო მზრუნველმა მუსა ნაგიევმა.

## სასამართლო.

„წითელი ოთახი". 5 დეკემბრისთვის ტფ. ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნული იყო „წითელი ოთახი"ს, ანუ „თავისუფალ სიყვარულის ლიგა"ს საქმე, რომლის გამოც სამართალში მიცემულია ჟურნალისტი ლევან ყიფიანი, ბრალდებულის ავადმყოფობისა, აგრეთვე ზოგიერთ მთავარ მოწმის გამოუცხადებლობის გამო საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

# მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

## „ცისკარი" და „საქართველოს მოამბე".

## (1852—1863 წ.)

(შემდეგი *)

8

როგორც ვნახეთ, ნიშნები თაობათა უთანხმოებისა და შეტაკებისა აღმოჩნდნენ ჩვენში 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში". 1863 წელს კი ორი ბანაკი თავ თავის ორგანოებშია უკვე დარაზმული. აქ უნდა გაჩაღებულიყო ბრძოლა. გაჩაღდა კიდეცა, თუმცა ბევრ მიზეზთა გამო ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. ქვემოდ გვექნება საუბარი ამის შესახებ. ეხლა კი საჭიროა გამოვიძიოთ ერთი რამ. მოგეხსენებათ, ჩვენი ახალი თაობა რუსეთში იზრდებოდა. მან შეითვისა რუს საზოგადოების „მესამოცე წლების" საუკეთესო იდეალები. „მამათა" და „შვილთა" შორის შეტაკება—ეს იყო რუსულ საზოგადოებრივ და სამწერლო ნიადაგზე აღმოცენილი მოვლენა. რუსის საზოგადოების გავლენით იგი ჩვენშიაც გადმოიჭრა და ფესვი მოიმაგრა. საგულისხმოა იმის გამორკვევა, თუ რამდენად განსხვავდებოდა და რამდენად ემსგავსებოდა „მამათა" და „შვილთა" შორის ატეხილი დავა ჩვენს ცხოვრებაში რუს-მოწინავე საზოგადოებაში ატეხილ დავას? ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა გადავიხედოთ რუსეთისაკენ და ვნახოთ, რა ხასიათის თვისებით გამოიყურება რუს-საზოგადოების მესამოცე წლების მოძრაობა.

მესამოცე წლების მოძრაობა რუსეთში ლოღიკურად არის დაკავშირებული მეორმოცე წლების მოძრაობასთან. ეს კავშირი იმაში კი არ გამოიხატება, რომ მესამოცე წლები იდეიური გაგრძელება ყოფილიყოს მეორმოცე წლებისა; პირ-იქით ამ ორ ეპოქას შუა გაჩაღდა ბრძოლა და მეორმოციანებმა, ასე ვსთქვათ, მისცეს საბრძოლველი მასალა მესამოციანებს. რა იყო დამახასიათებელი თვისება მეორმოციანებისა? თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რომ მეორმოციანნი, უმეტეს შემთხვევაში, თავად-აზნაურულ წრიდამ გამოსული მოღვაწენი იყვნენ. „რაზნოჩინცები" (სხვა წრეებიდან გამოსული ხალხი) მაშინაც სჩანდნენ (ბელინსკი, მაგალითად), მაგრამ უმრავლესობა აზნაურები იყვნენ. და აზნაური ინტელიგენტები ჰქმნიდნენ საზოგადოებრივ ატმოსფერას. ეს დრო იყო მკაცრი და სასტიკი მეფობა ნიკოლოზ I-ისა. რუსეთი წყვდიადით იყო მოცული. ხალხი დამონებული და კულტურა შეხიზნული სატახტო ქალაქების სალიტერატურო პატარ-პატარა ჯგუფებში. მეორმოციანნი გულწრფელად თანაუგრძნობდნენ ხალხს, სწადდათ მისი განთავისუფლება, მაგრამ უღონონი იყვნენ და უილაჯონი. ამ უილაჯობამ და იძულებითი დაშორებამ ხალხთან და, საზოგადოდ, პრაქტიკულ ცხოვრების საკითხებთან, თავისებური ბეჭედი დაასვეს იმ დროინდელ ინტელიგენციას. დაიბადა ინტელიგენტი, რომელიც ოცნებაში ატარებდა დროს, უზომოთ ბევრს ლაპარაკობდა და საქმით კი არაფერს აკეთებდა. რეზონიორობამ იჩინა თავი. მეორეს მხრივ, ოცნებას მიჩვეულმა აზროვნებამ სწრაფად შეითვისა გერმანიიდან გადმოტანილი მეტაფიზიკური ფილოსოფია. ჰეგელი გახდა საფუძვლად ინტელიგენციის აზროვნებისა. ჰეგელის ამა თუ იმ დებულების გამო კამათობდნენ რიჟრაჟამდე, თითქოს ამ კამათით უნდა გადაწყვეტილიყო ყოველივე მწუხარება და უკმაყოფილება, რომელიც გულს უსიებდა იმ დროინდელ ინტელიგენტს. ამასთან, სამწერლო წრეებში დიდი გასავალი ჰქონდა ეგრედ წოდებულ „წმინდა ხელოვნებას". ხელოვნება ხელოვნებისათვის—ეს იყო ლოზუნგი იმ დროინდელ იდეალისტებისა. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ამ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წრეებში, გარემოების ზედგავლენით უკვე ისახებოდა ტიპი ეგრედ წოდებულ „მონანიებით შეპყრობილ აზნაურისა" (кающагося дворянина). აზნაური ინტელიგენტი კარგად ჰგრძნობდა, რომ მიუხედავად მისი ლიბერალობისა და მოწინავეობისა, იგი მაინც პრივილეგიით აღჭურვილი ბატონია. მას სცხვენოდა თავის ბატონობისა, ხოლო ძალა არ შესწევდა ამ ბატონობის უკუგდებისა. იგი ჰგრძნობდა სინანულს იმის გამო, რომ წინაპრის სინიდისისა მჩაგვრელთა წრეს ეკუთვნოდა. და სწორედ ამ ელემენტებისაგან გამოირკვა და განსახიერდა ტიპი მონანიებით შეპყრობილ აზნაურისა—ტიპი, რომლის ზრდა განვითარება შეძლევს ეპოქებში (60—70—80) სავსებით დამთავრდა. ასეთი იყო ფსიხოლოგიური ფიზიონომია მეორმოციანებისა.

მესამოცე წლებში იბადება ახალი თაობა და მოძრაობასაც ახალი ელფერი დაეტყო. სამოქმედოთ ახალი ელემენტები გამოდიან, უმეტესს შემთხვევაში სასულიერო წოდებიდამ გამოსული მოღვაწენი (ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი). მათ შეიტანეს საზოგადოებრივ წრეებში თავისებური ფსიხიკა. ეს იყო ფსიხიკა თანშეზდილ დემოკრატიზმისა, რომელიც იმითი იყო ძლიერი, რომ იყო დამყარებული ფსიხოლოგიურ და ბუნებრივ ფესვებზე. ესენი არავითარ სინანულს არავის წინაშე არა ჰგრძნობდნენ, რადგან თითონ იყვნენ გამოსულნი დაჩაგრულთა წრიდან. ისინი დაცინვით შეჰყურებდნენ ლიბერალ-აზნაურებს, და მათ სძულდათ ამ აზნაურების „იდეალიზმი", „ესტეტიზმი" „რომანტიზმი" და თვით ის, რაც ღირსებად ჩაეთვლებოდათ, სძულდათ მათ გულში აღძრული მონანიების გრძნობა და სურვილი ხალხის სამსახურისა. პროფ. ოვსიანიკოვ კულიკოვსკი ამბობს: „ისტორიულად და ფსიხოლოგიურად ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და პისარევის მიერ გამოცხადებული პროტესტი მეორმოციანების „ესთეტიზმის" წინააღმდეგ სრულიად ბუნებრივი და ნაყოფიერი იყო, „წმინდა ხელოვნების" უარ-ყოფა, არსებითად რომ შევხედოთ საგანს, იყო უარყოფა „ხიბარიტობისა" (ფუფუნების) ხელოვნების დარგში. და ჩვენი სრული თანაგრძნობა, როგორც ამ შემთხვევაში, ისე ბევრ სხვაგვარ შემთხვევაშიაც პროტესტანტების მხარეზეა. მათ პროტესტს, აშკარაა, სალი მორალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ მნიშვნელობის გულისათვის შეგვიძლიან ვაპატიოთ პისარევს მისი შეცდომანი, პუშკინის გაუგებრობა და სხვა. ბაზაროვს არ ვეთანხმებით, ვითომ „რაფაელი ერთ გროშად არ ღირდეს", მაგრამ სავსებით ვიზიარებთ მის აზრს, რომ „ბუნება ტაძარი კი არ არის, არამედ სახელოსნოა და ადამიანი მასში მომუშავეა[1])". ჩვენი მკვლევარი ბაზაროვს ახსენიებს. მართლაც იგი ცენტრალური პიროვნებაა მესამოცე წლებისა. ტურგენევმა შეჰქმნა ბაზაროვის ტიპი და „ნიჰილიზმის" გამოსახველად დასახა იგი. ვინ არის ბაზაროვი? რა არის ნიჰილიზმი?

ბაზაროვი ეუბნება თავის ამხანაგს არკადის: „შენ ჩვენს ეკლიან, მწარე და ობოლ ცხოვრებისთვის არა ხარ გაჩენილი. შენში არც თავხედობაა, არც მძულვარება, შენი თვისება ახალგაზდური გამბედაობა და ყოყლოჩინობაა მხოლოდ. შენისთანა აზნაური მივა ან კეთილშობილურ საიმედოებამდე, ან კეთილშობილ გაცეცხლებამდე და ამას კი რა მნიშვნელობა აქვს. თქვენისთანები არ ჩხუბობენ, თქვენი თავი კი ყოჩაღებად მიგაჩნიათ. ჩვენ კი ჩხუბი გვინდა. ჰე! რაღა ვსთქვა ჩვენი მტვერი თვალებს ამოგიჭამს, ჩვენი ბინძურობა გაგსვრის. შენ ჩვენამდე ვერ მოუწევ. შენ თავს ლმობიერად შეჰყურებ, სიამოვნებას ჰგრძნობ, როცა ლანძღავ შენ თავს. ჩვენ კი მოწყენილი გვაქვს ეგ. სხვაგვარი ხალხი გვესაჭიროება. ხომ ბრძოლისთვის ვემზადებით. კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ მაინც ჩვილი ლიბერალი ბატონი ხარ. (Мягенькій, либеральный баричъ)".[2]) აქ მოსჩანს პაგარი და მტკიცე ხასიათის ადამიანი, დემოკრატი „უკანასკნელ ფრჩხილებამდე", დემოკრატი არა მწიგნობრული და პარტიული, არამედ სტიქიურად, ფსიხოლოგიურად, მთელი თავის სისხლით და ინსტინქტებით დემოკრატი ადამიანი. ამ ახალი კაცის თვისებაა ყველაფრის გმობა და უარ-ყოფა. აქედამ წარმოსდგება მისი მეორე თვისება—ნიჰილიზმი იმავ კულიკოვსკის აზრით, „ბაზაროვის ნიჰილიზმის იდეა, რომელიც თითქოს უპრინციპობას წარმოადგენს, ამგვარად უნდა გვესმოდეს. „რუსს" თავდაპირველად, ესაჭიროება შრომა, ცოდნა, ენერგია, კრიტიკა და ყველა ძველ ცრუმორწმუნოებათა დახავსებულ აზრების უარყოფა. მან უნდა დასძლიოს აპატია, სიზარმაცე, ნების ხისუსტე—უნდა განიკურნოს, უნდა განთავისუფლდეს „ობლომოვშჩინის" ზედგავლენიდან... ბაზაროვი არ ჰქადაგებს უარყოფას უარყოფისათვის, იგი სარგებლობის კრიტერიით ხელმძღვანელობს... თუ ეს ასეა, გერცენი მართალი არ იყო, როდესაც ამბობდა, ვითომ „ნიჰილიზმმა" არაფერი ახალი პრინციპი არ შემოიტანა. განა ბაზაროვის „კულტი" შრომისა, პოზიტიურ მეცნიერებისა, კრიტიკისა ახალი რამ არ არის ობლომოვების კლასიკურ ქვეყანაში? განა დემოკრატიზმი და შრომის ეთიკა (трудовая этика) ბაზაროვისა პრინციპი არ არის? ეს ხომ სრულიად ახალი და საჭირო რამ იყო არისტოკრატულ და ბატონყმურ რუსეთში რეფორმების წინა ხანაში? განა რიგორიზმი, შრომის უნარი, სულიერი თავისუფლება ბაზაროვისა მაშინ და ეხლაც იმისთანა რამ არ არის, რაც საზოგადოების განმკურნებელ და მმოძრავ ძალად არ ჩაითვლება? [3])".

ახლა დაუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს. იყო რამ ჩვენში მსგავსი ამგვარ მოძრაობისა თუ არა? საქართველოში განსხვავებული პირობები იყო და ამის მიხედვით განსხვავებული ხასიათის მოძრაობაც გაჩნდა ჩვენში. თუმცა რომ დავაკვირდებით ამ მოძრაობას, ბევრ მსგავს ნაკვთებს გამოვძებნით. „ცისკრის" ფიზიონომიის შესწავლამ დაგვანახვა ამ-

*) იხ. „სახალხო გაზეთი" N 468.

[1]) Овсянико-Куликовскій. Собр. сочиненій, т. 8. Исторія Русской интеллигенціи, ч. 2-ая, стр. 66.

[2]) ibib. გვ. 76.

[3]) ibid. 88.

# ხონის აპ-კარგი

ამ დღეებში ხონელმა ქალებმა ერთი მეტად საგულისხმო დაწესებულება დაარსეს. ეს დაწესებულება არის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება. დაარსების თაოსნობა ეკუთვნით დიდად პატივცემულ ქალთ ეფ. ქიქინაძისას და ეკ. ბახტაძისას. საზოგადოებაში მხოლოდ ქალები ღებულობენ მონაწილეობას. საზოგადოებას ამ ჟამად 80-მდე წევრი ჰყავს. წევრები იხდიან საწევრო ფულს თვიურად 20 კაპ. გარდა ამისა წევრები ვალდებულნი არიან კვირაში ერთხელ შეიკრიბნენ და საზოგადოების სასარგებლოდ იმუშაონ. ისინი თავიანთი მასალით შეკერავენ, მოქსოვენ რამეს და საზოგადოებას გადასცემენ. საზოგადოება კი წლის ბოლოს ამ ნივთებს გაჰყიდის, ფულად აქცევს. ამგვარად შეგროვილ ფულით საზოგადოებას განზრახვა აქვს დახმარება გაუწიოს ხონის სკოლებში მოსწავლე ღარიბ ახალგაზრდობას. როგორც საზოგადოება ისე მისი მიზნებიც თანაგრძნობის ღირსია, სხვა რომ არ იყოს ისიც დიდ რამეთ ღირს, რომ ამ საზოგადოების წევრნი მანდილოსნები ხალხის სამსახურში გაიწვრთნებიან. კარგი იქნება თუ ამ საზოგადოებაში წევრები ისეთ მუყაითობას გამოიჩენდნენ საქმისადმი ყოველთვის, როგორც აქამდე. სიამოვნებით ვეგებებით ამ საზოგადოების დაარსებას და ვუსურვებ დღეგრძელ სიცოცხლეს ღარიბ მოწაფეთა საკეთილდღეოდ.

გ. მეხუცე.

# რუსეთ-ამერიკის უთანხმოება

**დეპეშები.**

**ვაშინგტონი.** რუსეთ-ამერიკის შორის 1832 წელს დადებულ ხელშეკრულების გაუქმებას საზოგადოებრივი აზრი გულისხმიერებით ეკიდება. ამბობენ, ტაფტმა სენატში მყოფ პარტიების ბელადებს წინადადება მისცა, ამ საქმის თაობაზე უკვე მიღებული რეზოლუცია დაარბილონ. პრეზიდენტი იმედოვნებდა, რომ პეტერბურგთან მოლაპარაკება ამ ხელშეკრულების გაუქმებას შეუძლებლად ჰყოფსო. ჰფიქრობენ, რომ პალატა უფრო ადვილად წინადადების დარბილებას დაუჭერდა მხარს, ვიდრე მის მიღების გადადებას. შუსტერი აცხადებს, მეგობარ სახელმწიფოსათვის ვნების მოტანა არა მსურს და იმედი მაქვს რუსეთთან ახალ ხელშეკრულებას დავდებთ, რომელიც თანამედროვე მოთხოვნილებას შეეფერებოდესო.

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რომელიც შუაღამისას დასრულდა, რუსეთ-ამერიკის დამოკიდებულებაზე თათბირობდნენ. იუწყებიან, პრეზიდენტს განზრახვა აქვს სენატს დაჟინებით მოსთხოვოს, რათა რეზოლუცია იმდენად დაარბილოს, რომ რუსეთმა იგი მიიღოსო.

**პეტერბურგი** (ოფიციალური). პეტერბურგში მყოფმა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატთა ელჩმა 4 დეკემბერს გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტით აცნობა: ჩემს მთავრობას განზრახვა აქვს რუსეთ-ამერიკის შორის 1832 წ. 6/18 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება გაუქმებულად ჩასთვალოსო. ასეთ განცხადების ძალით ეს ხელშეკრულება, მასში მოხსენებულ მე-12 მუხლის თანხმად, ძალაში დარჩება 1912 წ. 10 (?) დეკემბრამდე (1913 წ. 1 იანვრამდე) ამასთანავე კურტის გაილდმა განაცხადა, შეერთებულ შტატთა მთავრობა წინადადებას აძლევს რუსეთის მთავრობას ორთავე სახელმწიფოთა შორის ახალ ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკებას შეუდგესო. ხელშეკრულება შეეხება ვაჭრობასა და ნაოსნობას და ორთავე სახელმწიფოსათვის უფრო თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერი იქნებაო. ზემოხსენებული განცხადება გარეშე საქმეთა მინისტრმა საიმპერატორო მთავრობის სახელით, 5 დეკემბრის თარიღით, მხედველობაში მიიღო.

**ვაშინგტონი** ტაფტმა სთქვა, თუმცა ამერიკელ ებრაელთა-ში რუსეთის ეხლანდელი მოპყრობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის, მაგრამ მაინც რუსეთთან უთანხმოების ჩამოგდება ძალიან ცუდი იქნება, ვინაიდან ამერიკა და რუსეთი ძველი მეგობრები არიანო.

# ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები**

4 დეკემბერი

**შანხაი.** ნანკინიდან იუწყებიან, გენერალი სუ ჯარის უფროსად დანიშნეს და ჩრდილოეთისაკენ უნდა გაუძღვეს იგიო. ამბობენ, მთავრობის ჯართან ბრძოლის გამარჯვებას გენერალი პაი ანჰოისთან აპირებსო. შანხაიში თოვლი ხვალ მოელიან. ჩინელთა ქალაქში 5 ჩინელი დასაჯეს. რევოლუციონერები სცდილობენ იარაღის ბლომად შეკვეთას.

**ჩიფუ.** შანხაიდან 6000 რევოლუციონერის მოსვლის იმედი აქვთ. ამზადებენ სადგომებსა და ხუთფეროვან დროშებს: წითელ-ყვითელ-ლურჯ-თეთრ-შავსა. დროშა ჰნიშნავს: ჩინეთს, მანჯურიას, თურქესტანს და ტიბეტს. ჩიფუ მთავარი ადგილი იქნება, საიდანაც პეკინელებს ბრძოლას დაუწყებენ.

**ტოკიო.** „ძიძი“ იუწყება, იაპონია და ინგლისი დასთანხმდნენ შანხაის რევოლუციონერებთან მოლაპარაკებაში შუამავლობას. გაზეთს იმედი აქვს, იაპონია საქმეს მოაგვარებს და ორივე მხარე რომ მოილიება, დემოკრატიულ მონარქიასაც დასთანხმდებიანო.

**პეკინი.** ავადმყოფობის გამო დაითხოვეს შანდუნის გუბერნატორი სუნბაოცი. მის მაგივრად დანიშნეს ქუნძიანსუე, შანდუნის სასამართლოს კომისარი. პეკინში მყოფმა ინგლისის ელჩმა გადასწყვიტა, სიანფუს მისიონერთა გამოსახსნელად რაზმი გაგზავნოს. ამბობენ, შანხაის რევოლუციონერები დამორჩილებას სრულიადაც არა ჰფიქრობენ და ამბობენ, გადაწყვეტილი გვაქვს საქმე ბოლომდე მივიყვანოთო.

**ჩიფუ.** წუხელის პოლიციელებმა და აქაურმა ლოიალმა ჯარმა დაოტაის იამინი დაიჭირეს. მმართველი ტყვედ ჰყავთ. რევოლუციონერებთან ბრძოლის დროს ერთი მოჰკლეს, ორი დასჭრეს, ორასის ვერსის მანძილზე ჯარის 1500 კაცია. შანხაისკენ რევოლუციონერთა სამი გემი მიდის.

**შანხაი.** ტანში მოვიდა. სამშვიდობო კონფერენციის პირველი სხდომა მოხდა. ქალაქი რევოლუციონურ დროშებითაა მორთული.

**ტოკიო.** სარწმუნოდ იუწყებიან, იჯუიდანს მისწერეს, რომ იუანშიკაის შეატყობინოს, ინგლისისა და იაპონიის ვიცე-კონსულები შანხაიში სამშვიდობო მოლაპარაკებაში შუამავლობას გაგიწევენო. ესევე შეატყობინეს რევოლუციის მეთაურებს.

**პეკინი.** რევოლუციონერებმა შანხაიში სამი კერძო გემი დაიქირავეს ნანკინიდან 5 ათასის კაცის უჩანს გადაყვანისათვის. შანსის პროვინციის რევოლუციონერები ჩრდილოეთზე გალაშქრებას აპირებენ. სამხრეთის რკინის გზის ორი ხიდი ააფეთქეს რევოლუციონერებმა.

**გაზეთებიდან.**

**ჩინეთის რევოლუციის ცუდი პირი.**

ევროპიელებს ჩინეთის რევოლუცია ვარდისფრად ესახებათ. საქმეს კი რომ ჩაუკვირდეთ, ბევრი რამ არის გასაკვირველი და მის გაგებას განსაკუთრებული ფსიხოლოგია უნდა.

აი, მაგალითად, რას ამბობს „ტაიმსის“ კორესპონდენტი, რომელიც ჩინეთს კარგად იცნობს. არა აქვთ საზოგადოდ დასაფიქრებელი მდგომარეობა და შეიძლება ისიც მოხდეს, რომ რევოლუციის მეთაურნი ბრბომ წალეკოს.

**ბრიუსელი.**

პეკინიდან ამბავი მოვიდა, რუსეთის მისსიამ ვაიბუბუს შეატყობინა, ურგას იმიტომ გავგზავნეთ ჯარი, რომ გვსურს რუსები დავიცვათ, თუ რაიმე არეულობა მოხდებაო.

პეკინში თურმე ცნობა მიუღიათ, იჩანში მყოფ მთავრობის ჯარის უფროსი რევოლუციონერების მხარეს გადავიდაო.

საფრანგეთისა და ამერიკის ელჩნი რევოლუციონერებს ურჩევენ, მონარქიას გაუფრთხილდით რესპუბლიკა არ შემოიღოთო.

შანხაიში რევოლუციონერებმა ბრინჯის გატანა მოინდომეს და ამისათვის ყველას აუკრძალეს ბრინჯის არყის ხდა.

**ბრძოლის სამზადისი.**

მოსკოვის ერთერთმა ჩაის ფირმამ შანხაიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „უკანასკნელ დროს იმპერიალისტები და რევოლუციონერები უჩანსა და ქანიანში ჯარს აგროვებენ. ზავი 8 დეკემბრამდე გააგრძელეს. რეგენტმა იუანშიკაიმ თანამდებობას თავი დაანება. ევროპიელთა ოჯახები ხანკოუს ბრუნდებიან, რადგან შიში არა ელითო“.

**ბრიუსელი.**

პეკინში აღმოაჩინეს ქურდ-ბაცაცათა ბრბო, რომელნიც სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ და ამით ჰსურდათ ხალხი რევოლუციონერების წინააღმდეგ აემხედრებინათ.

ამბობენ, რუსეთმა ურგაში ჯარი შეიყვანაო. რაზმი 100 კაცისაგან შესდგება. იმასაც ამბობენ, ამას მონგოლეთის დამოუკიდებლობის საქმესთანა აქვს კავშირი და რუსეთიც ეხმარებაო.

იუანშიკაის მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლებთან მონგოლეთის თაობაზე.

ჩინეთი, ეტყობა, არ შეიცვლება, რაც იყო იმად დარჩება. ვისაც სჯერა, ეხლანდელი მოძრაობა ჩინეთს ევროპას დაამსგავსებსო, ძალიან შესცდება და იმედიც გაუცრუვდება [illegible] ნუ გაეხარდებათ, თუ ამერიკაში აღზრდილნი ჩინელნი ვაშინგტონს ჰბაძავენ და რესპუბლიკებს აარსებენ. ჩინეთის რევოლუცია, როგორც საზოგადოდ ყველაფერი ჩინეთში საიდუმლოებას წარმოადგენს და ბევრი ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო რამ შეგხვდებათ. საკმაოა ერთი ფაქტი დავასახელოთ: შანსის პროვინციის გუბერნატორად მთავრობამ რევოლუციონერთა მეთაური დანიშნა. ამ გუბერნატორს ამას წინად პრეზიდენტობა არგუნეს. და მერე არ იკითხავთ, ვინ არის იგი? შენუნი, 1909 წელს ვიცე-კოროლობიდან იმისთვის გადაყენებული, რომ მოხსენებაში კონსტიტუციურ დაწესებულებათა წინააღმდეგ ილაპარაკა. ახლახან კი ჩინეთის გაზეთებში შემდეგი წავიკითხეთ: „შანტუნში რესპუბლიკა გამოაცხადეს. ვიცე-კოროლად დაინიშნა შუნ-პაო-კი“.

აი, ასეთ მდგომარეობის დროს მთავრობამა და შანხაის რესპუბლიკამ პროვინციებს დეპუტატების გამოგზავნა მოსთხოვეს, ვგონებ, პროვინციები იქაც გაგზავნიან წარმომადგენლებს და მთავრობასთანაც.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები**

4 დეკემბერი

**ტრიპოლი.** 2 დეკემბერს აინსარიდან გასული რაზმი ასიზიეს გზაზე მეჯელინის ველში არაბ ოსმალთა რაზმს წააწყდა.

**დერნა.** იტალიელების ჰზვერავთა რაზმი პოულობს ბევრს გვამს, უკანასკნელ ბრძოლაში დახოცილებისას. დახოცილები თითქმის ყველანი ადგილობრივი მკვიდრნი არიან.

**ბენგაზი** ბირკას სამხრეთ ბედუინთა რაზმი 2 დეკემბერს თხრილებში ჩასაფრებულ იტალიელებს დაეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. იტალიელები არ დაზარალებულან.

**რომი.** „ტრიბუნა“ სწერს, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის ურთიერთობა იტალიისადმი ომის დაწყებიდანვე მეგობრული იყო. იტალიასა და ავსტრიას სერიოზული ინტერესები იძულებულ ჰყოფენ ერთად იმოქმედონო.

„სტეფანის სააგენტო“ იუწყება, ტყუილია, ვითომც ბენგაზს ახლო ოსმალებს იტალიელები დაემარცხებინოთო.

**ჰომსი.** იტალიელთა რაზმს სროლა ჰქონდა არაბებთან და გააქცია კიდეც. იტალიელებს 4 მოუკლეს, 11 დაუჭრეს.

**ტრიპოლი.** არაბთა ოთხი მეთაური მოვიდა იტალიელებთან მოლაპარაკების გასამართავად. ბირელდინას ახლო მზვერავთა რაზმმა ოსმალთა ბანაკი აღმოაჩინა და ზარბაზანი დაუშინა. ოსმალებმა საჩქაროდ უკან დაიხიეს.

**გაზეთებიდან.**

**რომი.**

ტუნისს მოიტანეს აქ მყოფის ჯარის დასახმარებლად რამდენიმე ჰაეროპლანი. „ი რტალი“ ამბობს, ეს ნეიტრალიტეტის დაარღვევააო.

**პარიზი.**

გაზეთები სწერენ, ოსმალეთს ორმოც და ათამდე მფრინავმა მისცა წინადადება ომში დახმარებისაო.

---

კარად, რომ ჩვენში ადგილი არა ჰქონდა რუს — მეორმოციანების მსგზავს მოძრაობას. პირველი გუნდი განათლებულ მოღვაწეებისა გამოდის ჩვენში სამოქმედოთ მეხამოცე წლებში. ამ გუნდს დაჰხვდა სხვა გუნდი, უკვე გამოსული სამოქმედოთ. ხოლო ესენი არ იყვნენ არც „ესთეტები“, არც იდეალისტები“, რუს მოღვაწეების მსგზავსნი; ესენი იყვნენ ქართველი მოღვაწენი, ვის გულში და აზროვნებაშიაც ჯერ კიდევ არ წაშლილი კვალი წარსულ ცხოვრებისა და მეთვრამეტე საუკუნის ქართულ კულტურისა. მართალია ესენიც იყვნენ თავად-აზნაურნი, ხოლო არავითარ მონანიების გრძნობას მათ გულში ადგილი არა ჰქონდა. მაშასადამე, ჩვენში, სხვაგვარ სოციალ-პოლიტიკურ კონიუნქტურის წყალობით, ძალთა განწყობილება და მიმართულებაც სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ განსხვავებასთან ერთად მსგზავსებაც იყო. მესამოცე წლების წინ თუ იყო ჩვენში ლიტერატურა, იგი იყო რომანტიული ხასიათისა, „რომანტიზმი“ ჩვენში არ იყო არც სისტემა, არც დოქტრინა, არ არსებობდა მისი მქადაგებელი ჯგუფი. იყვნენ მხოლოდ ობოლი პოეტები, რომელნიც 1862 წლამდე თავიანთ ნაწარმოების დაბეჭდვის საშუალებას იყვნენ მოკლებულნი. ეს პოეტები იყვნენ ჩვენი რომანტიკოსები. მათი რომანტიზმი არ იყო ის, რასაც ესთეტიზმს უწოდებენ. ისინი არ იყვნენ „წმინდა ხელოვნებისა“ და ფორმის მოტრფიალენი, მათ პოეზიის შინაარსი რეალურად განცდილი იყო მათ მიერ, თუმცა საგანი მათის შემოქმედებისა ხშირად არ იყო დაკავშირებული კონკრეტულ პირობებთან. მესამოცე წლებში ჩნდება ჩვენში რეალური ხასიათის ლიტერატურა. და აქ თითქოს მსგზავსება არის რუსეთისა და ჩვენს შორის. უკეთესი კი იქნება ამ საგნის გამორკვევისათვის მივმართოთ „საქართველოს მოამბეს“. ამ ჟურნალის გაცნობა მოგვცემს საკმარისს მასალას აღნიშნულ საკითხის გადასაწყვეტად. პირველსავე წიგნში არის სარედაქციო წერილი, საიდამაც ვიგებთ ორგანის განზრახვასა და მისწრაფებასა.

„მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, ვკითხულობთ ჟურნალში, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი ერთმანეთს შეხარიან. უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა... გული სხვარიგად სცემს, როცა დედა მიწაზე ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქამს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგათა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზე ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა...[4] „ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, საკუთარ წესზე მოვინდომოთ ცხოვრების გატარება, თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოძებნა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩამახილის — ამოძახნა, მისის ვითარების ცნებაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა... აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, განაგრძობს ჟურნალი, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ **მასში მომავლისათვის თესლი ურევია** (კურსივი ჩვენია), როგორც წარსულში ერია მომავლისათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვის.[5]

მატერიალურ — პოზიტიური მიმართულება ახალი ორგანოსი აქ ნათლად მოსჩანს. ეს უკვე ისტორიის ფილოსოფიაა და ამგვარი ცდა ცნობაში მოყვანისა გარეშე ცხოვრებისა პირველი ცდაა ქართულს ლიტერატურაში. ამ განმარტებით ცხოვრება განვითარების კანონს ემორჩილება, იგი მმოძრავი და ცვალებადია, „მასში ურევია თესლი მომავლისთვის“. უკეთესად ევოლუციონურ თეორიის გამოსახვა არ იქნებოდა. და საგულისხმო ის არის, რომ სწორედ ამ თესლის ჯავრი ჰქონდა ჩვენს ჟურნალს, მისი გამოკრეფა უნდოდა ხვალისთვის. და დღეს შეგვიძლიან სრულის დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ამ ჩვენს პირველ ჟურნალს მართლაც გამოუკრეფია თესლი, რადგან ამ თესლის ნაყოფს დღეს აშკარად ვხედავთ.

ჟურნალი მეცნიერულ საფუძველზე მყარდება. ჩვენ აქ ამ ჟამად არ გვაინტერესებს გამოკვლევა ამ მეცნიერების ღირსება-ნაკლულევანებისა. შევიარაღდეთ ისტორიულს პერსპექტივით; ეს პერსპექტივა აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ ჩვენი ახალი თაობა რუსეთის იმ დროინდელ მოძრაობის დიდ ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ლოზუნგი მესამოცე წლებისა, სარგებლობა და რეალიზმი, გახდა ჩვენი ჟურნალის ლოზუნგად. მართალია, მან სავსებით ვერ გაატარა ცხოვრებაში ეს ლოზუნგი. მაგრამ, როგორც ვნახავთ, ეს მოუვიდა იმიტომ, რომ თვით ლოზუნგი იყო ცალმხრივი. ჯერ ხნობით კი იგი მტკიცე დამცველია რეალისტურ მეცნიერებისა და რეალისტურ ხელოვნებისა. ჟურნალი ამბობს:

„ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა. ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგისა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება, მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა.. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის — ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცხოვრებაში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „დრუბლების ცურვასა“, „გაფალარაფებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ლმექასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო, დროა წავიდეს ცხოვრების შინაარსის ძირში, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ ცხოვრების ძირში ის იპოვნის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა.[6]

ამგვარია პროგრამა ჟურნალისა. ამ პროგრამაში შიგა და შიგ რედაქცია იმ აზრსაც ადიარებს, რომ მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფით უნდა სარგებლობდეს არა მარტო პრივილეგიით აღჭურვილი საზოგადოება, არამედ ხალხიც. და ლიტერატურამაც ამ ხალხთან თუ არა მის უმრავლესობის ნაწილთან მაინც უნდა დაიჭიროს საქმე.[7] სოციალური მოტივების უფრო მკაფიოდ გამოთქმა იმ ხანებში ადვილი საქმე არ იყო. თუ ეს არ მივიღეთ მხედველობაში, უცნაურად გვეჩვენება ის გარემოება, რომ საპროგრამო წერილში ბატონყმობის საკითხი არ არის ნახსენები. და არამც თუ საპროგრამო წერილში არ ვპოვებთ ამ მთავარ საგანს, ჟურნალის სხვა წიგნებშიაც არ არის არც ერთი წერილი, რომელიც პირდაპირ ეხებოდეს ამ საგანს. ეს იყო სასტიკ ცენზურის ნაყოფი. მაგრამ შეუძლებელი იყო გაჩუმება. რამე გზით საჭირო იყო ლაპარაკი ამ საგნის თაობაზე. და სწორედ აქ გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ თავისი თეორია ხელოვნების სამსახურისა და დანიშნულების შესახებ. მან დაიწყო ლაპარაკი ბატონყმობის შესახებ მოთხრობის სახით. საქართველოს მოამბეში დაიბეჭდა ერთი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ და სრული დამთავრებული „კაცია-ადამიანი“. ამაზე ნათლად, ამაზე მკაფიოდ, ამაზე აშკარად გმობა ძველი წესისა და ადამიანის დამონებისა შეუძლებელი იყო.

ამგვარად პოზიტიური და ხალხოსნური მოტივებით იწყობს მოღვაწეობას ჩვენი ჟურნალი. „ხალხი“ და მისადმი ინტერესი და თანაგრძნობა რუსეთიდან გადმოტანილი იდეაა, მაგრამ ამ იდეის საჭირო ნიადაგი აღმოუჩნდა ჩვენში, რადგან ჩვენშიაც აუცილებლივ საჭირო იყო ძველი წყობილების დანგრევა, ახალის აგება, ხალხის განთავისუფლება და მისდამი მოვალეობის გადახდა. „ხალხის კულტი“ რუსეთში პლატონიური ოცნება იყო მეორმოციანელთა შორის. მონანიებაში ჩავარდნილ თავად-აზნაურული ინტელიგენცია სულ იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე „ვალი გადაეხადა“ ხალხისათვის. გრიგოროვიჩის მოთხრობები მესამოციანებში სწორედ ამ ვალის გადახდის მოტივებით იყვნენ გამოწვეულნი. შემდეგში, სამოციანში, როდესაც გამოჩნდა „რაზნოჩინცების“ ინტელიგენცია და დემოკრატიული ლოზუნგი გახდა ბუნებრივ ლოზუნგად, ამ მოძრაობას მიეკედლა აზნაურული ინტელიგენციაც, რომელიც შეძლების-დაგვარად ითვისებს ფსიხიას „რაზნოჩინცებისას“ და ამგვარად ჩნდება და ირკვევა ფიზიონომია კლასებ შუა მდგარი ინტელიგენციისა, (Межклассовая интеллигенція), რომელიც ხალხის სამსახურის მძიმე ტვირთს იღებს თავის მხრებზედა და დამძიმებული ამ ტვირთით აპირებს ცხოვრებაში სიარულს. ამ ტვირთის ზიდვაში დრმა ტანჯვა გამოუვლია რუსის ინტელიგენციას და ეს ტანჯვა დღესაც არის მისი ხვედრი.

ჩვენში ამ მოძრაობას სხვა ელფერი ჰქონდა. თავი და თავი ის არის, რომ ჩვენში როგორც რომანტიკოსი პოეტები იყვნენ თავად-აზნაურნი, ისე მესამოცე წლების მოღვაწენიც იგივე თავად-აზნაურები იყვნენ. იმ ხანაში ჩვენში არ იყო შემდეგ „რაზნოჩინცებისა“ თავად-აზნაურულ ინ-

[4] „საქართველოს მოამბე“ № 1. 1863 წ. გვ. 112.

[5] ibid. გვ. 122.

[6] ibid, 124.

[7] ibid, 118, 119.

### დიპლომატთა დუელი.

ამას წინად ტრიპოლში თავს დაესხნენ და დასჭრეს გაზეთ „ტანის" კორესპონდენტი ჟან კარერი. ამ ამბავმა პარიზში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და პარიზელები ძალიან აღელვა. ამის გამო პარიზში მყოფმა ოსმალეთის ელჩმა რიფაატ-ფაშამ „ტანის" რედაქციას წერილი გაუგზავნა. წერილში რიფაატ-ფაშა ამტკიცებდა, ეგ საქმე იტალიელებმა მოაწყეს, პროვოკაცია ჩაიდინეს და ჰსურთ ამით საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა წინააღმდეგ აამხედრონო.

ამან ძალიან გააბრაზა და გააწყენა იტალიელთა ელჩი ციტონი. ამბობენ, სეკუნდანტები გაუგზავნა რიფაატ-ფაშას და დუელში გამოიწვიაო.

# რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ხტამბოლი.** პალატამ განიხილა სპარსეთის მეჯლისის დეპეშა, რითაც იგი დახმარებას ითხოვს რუსეთის წინააღმდეგ. გარეშე საქმეთა მინისტრმა აასიმ განაცხადა, რუსეთმა შეგვატყობინა; სპარსეთის დამოუკიდებლობას შიში არა მოელის რაო და ამიტომ პორტამ სპარსეთს რუსეთთან მორიგება ურჩიაო. პორტას რუსეთის განცხადება გულწრფელად მიაჩნიაო. პალატა დაკმაყოფილდა განმარტებით.

### გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

**უთანხმოების გათავება.**

„რუსკია ვედომოსტის" პეტერბურგიდან სწერენ: რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება, ეტყობა, ჩქარა გათავდება. დიპლომატთა წრეში ლაპარაკობენ: სპარსეთი თან და თან დათმობის გზაზე მიდისო. სპარსეთი თანახმაა რუსეთს ყველა მოთხოვნილება აუსრულოს, გარდა ზარალის ანაზღაურებისა. ამასივი ნაღდ ფულად ვერა კისრულობს და კონცესიების მიცემასა ჰპირდება. რუსეთი ყველა მოთხოვნილებათა ასრულებას მოითხოვს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

რ უ ს ე თ ი.

5 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** მოსკოვ-ხარკოვსა და ტფილის-ბაქოს შორის ტელეფონის გაყვანა დასრულდა და მოკლე ხანში საზოგადოებას შეუძლიან მათი ისარგებლოს.

**ყაზანი.** დამშეულთა გამოსაკვებად 176,124 ფუთი ხორბალია საჭირო. სამკურნალოდ და საკვებად 340 ათასი მანეთია საჭირო. უფასოდ დასარიგებლად 700 ათას მანეთის ხორბალი, მინისტრის განკარგულებით, ყაზანის სადგურზე უნდა მიიტანონ, ხოლო სიზრანში 300 ათას მანეთისა.

**სარატოვი.** საზოგადო სამუშაოების მოწყობა 194 სოფელში განიზრახეს. 123 სოფელში 311 ათას მანეთის სამუშაო უკვე დაიწყეს, ზამთარში 109 სამუშაოს 173 სოფელში აპირებენ, სულ 100 ათას მანეთისას.

**ეკატერინოსლავი.** ერობის სამაზრო საკრებულომ დაადგინა, საყოველთაო სწავლა 12 წლის განმავლობაში განახორციელოს და შუამდგომლობა აღძრას, რათა ხარკოვ-ხერსონის შუა რკინის გზა გაიყვანონ.

**ხარკოვი.** ერობის საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რათა სკოლებისა, საავადმყოფოთა და გზების საჭიროებისთვის ხე-ტყის გადასაზიდ გადასახადებში შეღავათი მისცენ.

**მოსკოვი.** საოლქო სასამართლომ რეალურ სასწავლებლის მოწაფეთ სპასოვსა და მარუსინს, ტიხომიროვის სახლზე დაცემისათვის—სპასოვს ექვსი თვით ციხე მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** განათლების მინისტრს კასსოს ტაინი სოვეტნიკობა ებოძა.

**სარატოვი.** თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, ვინც სამს წელიწადს ხმოსნად, ან მომრიგებელ მოსამართლედ იმსახურებს, უფლება აქვს მინისტრის თავად-აზნაურთა წოდებაში ჩაირიცხოს.

**პეტერბურგი.** სამხედრო მინისტრს სუხომლინოვს და ვაჭრობისას—ტიმაშევს უმაღლესად ებრძანათ სახელმწიფო საბჭოს წევრებად ირიცხებოდნენ, იმავ თანამდებობათა შენარჩუნებით.

ფინანსთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, რათა ბრიუსელში 1911 წ. 14 ოქტომბერს შაქრის კომისიის დადგენილებისამებრ, დანიიდან რუსეთში შემოტანილ შაქარს ბაჟად დაადონ ფუთზე 1 მ. 22 კ. შაქრის ფხვიერს—1 მ. 20. აგრეთვე ესპანიიდან შემოტანილ შაქარზედაც.

**პეტერბურგი.** მეორე ხარისხის სტანისლავით უმაღლესად დააჯილდოვეს კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე ფეხნერი და ნამესტნიკის საკანცელარიო მინდობილებათა მოხელე თ. დი ბაგრატიონ-მუხრანსკი.

# რუსეთი

**სახელმწიფო სათათბიროს გლეხ-დეპუტატები აკიმოვთან.** სათათბიროს გლეხ-დეპუტატებმა თხოვნით მიჰმართეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს აკიმოვს, რათა მან გავლენა იქონიოს საბჭოზე სათემო ერობისა და ადგილობრივ სასამართლოს კანონ-პროექტების საჩქაროთ განსახილველად. დეპუტატმა ბრიზინამ აკიმოვს, სხვათა შორის, უთხრა, გლეხი-დეპუტატები მეტად მწარე გრძნობებით დაუბრუნდებიან ამომრჩევლებს. აკიმოვის პასუხმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ეხლანდელ სესიაში კანონპროექტები ვერ გავა.

**ქალი, დოქტორი მედიცინისა.** ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში ს. ნ. ლისოვსკისა მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ქირურგიიდან დისსერტაცია დაუცავს, რომელსაც მთელი დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით მიეგებებია. ლისოვსკისა აღნიშნულ ხარისხის ღირსად უცვნიათ; იგი პირველი რუსი ქალია, რომელმაც ქირურგიაში დისსერტაცია დაიცვა.

**დუელზე უარის თქმა.** მკითხველებს ახსოვებათ ჭეშმარიტ რუსთა წევრების ნიკოლსკისა და მარკოვს შორის მომხდარი უსიამოვნება. ნიკოლსკიმ მარკოვი დუელში გამოიწვია და თვისი სეკუნდანტებიც კი დაასახელა, მაგრამ მარკოვმა უარი განაცხადა დუელში გასვლაზე.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ფოთის პროფესიონალურ სასკოლო შენობის აგებაში. მატერიალურად დახმარება აღმომიჩინეს ბ. მღვ. გიორგი გეგეჭკორმა და მასწ. ვ. ი. გაგუამ; ბატონმა ერმალო ელ. ბოლქვაძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ზემოხსენებულ სკოლის აგებაში: მან დაუთმო სკოლას საჭირო მასალა ნაკლებ ფასებში.

აგრეთვე მადლობას ვწირავ ბ. გრიგოლ მ. გაბუნიას და ირაკლი გვაზავას, მათ დაუღალავი შრომით ხელი შემიწყეს სკოლის აგებაში.

აგრეთვე მადლობას ვწირავ მონაზონს „ქესას" უზომო შრომის მიღებისათვის.

და მადლობას ვუძღვნი ბ. ტარიელ გ-ძე გვალიას, რადგანაც მან გამოუწერა წლიურად ჩემს სკოლას ჟურნალი „ნაკადული".

გამგე პროფესიონალურ სკოლისა
**ნოტია ლოლუა.**

# გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) **საფოსტ. მატარებ.** № 7, II—III კლ. ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) **სამგზ. მატარ.** N 5. I—III კლას. ხაღ. 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) **სამოსხტო მატ.** დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) **ჩქარი მატარ.** N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 48 წ. 2) **სამგზ. მატარ.** № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) **სამოსხტო მატ.** N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ. ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) **მერმულ. მატარ.** № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) **სამგზ. მატარ.** N 9/66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) **სამოსხტო მატ.** N 74/75, I—III კლას. ხაღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის ხაღ. 11 ს. 10წ. 2) **სამგზ.-საქონლ. მატარ.** N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** 1) **სამგზავ.** N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. **სამოსხტ.** N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) **სამგზ.** N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) **სამგზ.** N 5, I—III კლ. ხაღ. 5 ს. 7 წ. 2) **სამოსხტო** N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) **ჩქარი** N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) **მერმული** N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** **სამოსხტო** N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) **სამგზ.-საქონლ.** N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** **სამგზავრო** № 61/10 I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

### გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში)

**რუსეთის საზოგადოებისა**

**ბათუმიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით—ღამით 1 საათს, ყველა ზღვისპირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით; ღამის 1 საათს. შეივლის სოხუმს, გაგრას, სოჭას, ტუაფსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლს და ევპატორიას, შაბათობით შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-სასარგო** გემები — შეივლის ყველა ქალაქებში ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

### უფასო სამკურნალო დახმარება.

**ქალაქის საბჭოს ექიმები:**

1—2 უბანი **გ. ა. გედევანიშვილი** (სოლოლაკზე, ოლგ. ქ., 22, ტელეფ. 592).

3—4 უბ. **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 უბ. **ტ. მ. თათარხანოვი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 უბ. **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 816).

8—9 უბ. **ნ. დ. ბატირიძე** (კუკიაში, ნიკოლაევსკი, 7, ტელ. 715).

10, 11—12 უბ. **ა. ი. შჩერბინინისა** დიდუბეში, საგურამოს, 5, ტელეფ. 715.

### ნ ი ხ რ ი

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირაუბნე ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალადევ., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან . . . 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალადევ. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . 50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . . 40 „

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**შ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღლინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ანდრონიკაშვილი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. მუღაინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი:** 12 ნახ. —1 ს. საშვ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ალიხანოვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანი:** 5—6 ნახ.- ს. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა. კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—196)

### გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა

# მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა**—ისწავლე ქალვაჟებთან. — **მიღებულია პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და ს-ტეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: საზოგადოებო ხემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის.** ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ბინაზედ უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც.** მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**ილებს პიროვნებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда нижній звонокъ спросить учителя.**

**А съ Елизаветинской ул. д. N 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).**

(т. 1084.37)

---

ტელიგენციასთან, (ჰონქაძეები გამონაკლისს შეადგენენ).

ეს შეხლა მოხდება ოცი წლის შემდეგ, როდესაც ჩვენს ინტელიგენციის წრეებს თანდათან შეემატება სხვა წოდებიდან გამოსული პოლვაწენი. ჩემს წერილში „ოთხმოციანნი და ოთხმოც-და-ათიანნი" უკვე შევეხე ვრცლად ამ საგანს. და აქ უნდა ვსთქვა მხოლოდ, რომ რაკი რუსეთთან შედარებით ჩვენმა ინტელიგენციამ მოიგვიანა თავის განვითარების პროცესში, ამიტომ მესამოცე წლების ჩვენებურ მოძრაობას არც სირთულე, არც სიძლიერე რუსეთის მოძრაობისა არ ჰქონდა. ხალხის სამსახური იმ თავითვე თავად-აზნაურულ ინტელიგენციას დააწვა ვალად. ამ ინტელიგენციამ იკისრა ეს ვალი. მესამოცე წლებში შეწყვეტილი ახალი თაობის მუშაობა გრძელდება სამოც-და-ათ წლებში. და საერთოდ რომ გადავხედოთ ამ მუშაობას, აშკარად დავინახავთ, თუ რამდენად მეტად ნაყოფიერი იქნებოდა ეს მოძრაობა, ჩვენშიაც რომ გამოსულნი ყოფილიყვნენ სამოქმედოთ სხვა წოდებათა წარმომადგენელნი, ნერვებისა და აგებულების სიმტკიცე ფსიხიკას აფოლადებს. „რაზნოჩინებს" დახმარება უებარი იქნებოდა ქართულ კულტურის გაფოლადებისათვის, მაგრამ ისტორია ნახტომებს არ აკეთებს. და ნუ მოვსთხოვთ იმას, რაც არ მოეთხოვება.

როგორცა ვსთქვი, „საქართველოს მოამბე"-მ მიჰმართა მხატვრულ ფორმას ბატონ-ყმობის დასაგმობად. „გლახის ნაამბობი", პირველსავე წიგნში დაბეჭდილი, მოგვაგონებს გრიგოროვიჩის მოთხრობებს, რომელნიც იმავე განზრახვით იყვნენ დაწერილნი. სიყვარული და თანაგრძნობა დავრდომილთადმი, გმობა მონობისა და დაჩაგვრისა,—აი მოტივები ამგვარის ნაწარმოებისა. გავიხსენოთ ზოგიერთი ადგილები „გლახის ნაამბობისა".

„ყმაწვილის გული, შენი ჭირიმე, ვკითხულობთ მოთხრობაში ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე და ადრეულად დაჰკნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომვე ბოლო მომიღო... ბატონთან განებიერებული ვიყავი ბატონის შვილისავით, დათიკოს უყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედ, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს! ეს რომ მცოდნოდა, ღმერთისა ვფიცავ და ჩემ მამაპაპის სალოცავსა, გულში ნაღველსა ჩავიწურებდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავატარებდი. მაშინ რა ვიცოდი..?" [8])

ან წაიკითხეთ სხვა ადგილი, სადაც სოფლის ბიჭმა, ქალაქში ჩამოსულმა პირველად თავის სიცოცხლეში წიგნს მიუგდო ყური და გაოცებულმა ნაცნობი რამ ამოიკითხა.

„ყური მიუგდე, და ის კი რასაც კითხულობდა, თითქო მეცნოო, თითქო სადღაც უწინაც გამეგონოსო. გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორეთ ჩვენ სოფელში გამეგონა. არ ვიცი რად, მაგრამ გული კი სიხარულით გადმიტრიალდა, „დალახვრა ღმერთმა, წამოვიძახე უცებ, ჩვენი გლეხური ზღაპარი აქ სად მოსულა?", დიახ, ჩვენი მდაბიო ზღაპარი გ ხლდათ. [9])

ან კიდევ ეს, სათნოიან მღდელს რომ შეხვდება პატარა გაბრო: „ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგდებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწის კვრით წამაბრძანებდნენ. ამან კი ობოლს, ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ ითაკილა ძმობა, ყმას თანა, რომელსაც საცა კი ბატონი მოიწადინებს, ძოფაკ ძაღლზედაც გასცვლის, მოდი და ნუ მოიდრიკებთ ამის წინ მუხლსა. მე მახსოვს, დიდი ბატონი ხომ კაი კაცი იყო, მაგრამ მაინც გული მოეფხანებოდა, რაც მე მუხლზედ ვაკოცებდი ხოლმე, მე მეგონა ამასაც ამითი ვამებ, ის კი არა თუ მიწყინა და ჩემს რეგვენობას აპატივა"..... [10])

მოთხრობაში აქა-იქ სენტიმენტალური დიდაქტიკაა შეპარებული, იგი არ არის ნიმუში ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებისა, მაგრამ თუ დღეს გემოვნების გაგების ხანაში გვეჩოთირება სენტიმენტალიზმი და დიდაქტიკა, მხატვრულ ნაწარმოებში, ბნელ წარსულში, როდესაც სამარისებური სიჩუმე ჰსუფევდა გარშემო, ამ ნაკლს ნაკლის ბეჭედი არა ჰქონდა და მთავარი განზრახვა მოთხრობისა—შებრალება დაჩაგრულისადმი და გმობა მონობისა ნათელი და უტყუარი იყო ყველასათვის. და ამაშია დიდი დამსახურება „გლახის ნაამბობისა".

ახლა ჩვენთვის უფრო ნათლად სჩანს ის გზა, რომლითაც ჰსურს ლიბერალურ „საქართველოს მოამბეს". ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს გზა ეკლიანი გზა იყო და ახალ აზრს და ახალ მიმართულებას ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდა.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(შემდეგი იქნება)

8) გვ. ibid, 20.

9) „საქართველოს მოამბე" № გვ. 16.

10) ibid, გვ. 33.


# განცხადებანი

# ვ ი ლ ე ბ
# საეკლესიო სამზა-ტვრო

საქმეებს. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზ. ტფილისის მაზრა, **მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.**

(23—958—9)

ა გ ე ნ ტ ი

# მ. ა. გაჩონია

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვადასხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტთაგან ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსის" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

**მისამართი:** ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს და საღამოს 4—5½ საათამდე.

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა". . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . | ფ: 85 კ. |
| Bâto ს-სა: | „ერი და კაცობრიობა" . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს კ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

# სნეულთა
# ყურადღებოდ
# ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ძგერით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც სპერმინ-პელა დღითი-დღე უფრო მეტი საღდება, ამის გამო გახშირდა აგრეთვე ლებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი სპერმინ პელის მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ახეთ ყალბ წამლებიდან. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ „სპერმინ-პელას" გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას „სპერმინ-პელა", ვინაიდან ყველა სხვა წამლები, უზეიროდ წაბაძულებაა „სპერმინ-პელასი".

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მძარეა ის წამლები, „სპერმინ-პელ"-ას დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

(Метцль и К-о. № 95425).

(12—1481—9)


სტამბა „შორაპანი" მადათოვის კუნძული

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.